სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 4 ივნისის № 142/01–01 ბრძანების საფუძველზე კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის № 70/2024 დადგენილების მე -2 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი „24“ ივლისი, 2024 წელი
თსუ XI კორპ., ოთახი #325 14:00 სთ.

სხდომას კომისიის ოთხი წევრიდან ესწრებოდა ოთხივე წევრი:

1. მაგდა ცინცაძე – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. გელა ბესიაშვილი – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ირინა ხუციშვილი – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. მაია არჩუაძე – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ-პროფესორის ვაკანსიაზე (კატეგორია „ბ“) გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ მაგდა ცინცაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასების ორივე ეტაპის და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო.

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ“) ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა – ლიანა ლორთქიფანიძემ.

კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები. მან აღნიშნა, რომ კონკურსანტის ლიანა ლორთქიფანიძის

განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურდანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს".

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2010 წლიდან დღემდე არის თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრის ასისტენტ-პროფესორი) და საერთო პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (2 სასწავლო კურსი ბაკალავრიატში - საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება", 1 კურსი მაგისტრატურაში და 1 კურსი დოქტორანტურაში - საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი ენათმეცნიერება") ვაკანსიის პროფილის შესაბამისია, ვინაიდან კონკურსანტის მიერ თსუ-ში წაკითხული სასწავლო კურსები წარმოადგენს კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო კურსებს; წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა ნაწილობრივ შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „საშუალო".

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 2 პუბლიკაცია იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალებში; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 6; კონკურსანტის ციტირების ინდექსია Google Scholar -ის მიხედვით - 7, h-ინდექსი Google Scholar -ის მიხედვით - 2, g-ინდექსი Google Scholar -ის მიხედვით - 5; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში – 5, მოხსენებები ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე – 1; საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა - 5; თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან – 2. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც კარგ დონეზე შესრულებული ნაშრომი. წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებთან. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი".

IV კატეგორიაში (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტტმა ერთხმად მიიღო შეფასება „დაბალი".

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტს დაესვა შეკითხვები, რომლებსაც მან ამომწურავი პასუხები გასცა. გასაუბრების პროცესში კომისიის მიერ შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ–ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. ლორთქიფანიძემ ისაუბრა მისი სამეცნიერო ინტერესების და სამომავლო გეგმების შესახებ, ასევე გააცნო კომისიას სასწავლო პროცესის ორგანიზების მისეული ხედვა. კერძოდ, პრეტენდენტისთვის დასმულ შეკითხვაზე, თუ რამდენად შესაძლებელია მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული „კომპიუტერული ლინგვისტიკის" კურსის ინტეგრირება საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება", პრეტენდენტმა განმარტა, რომ 2014 წელს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ინტერდისციპლინური სწავლებისა და კვლევების ცენტრის „თსუ ადმინისტრაციული მართვისა და აკადემიური მენეჯმენტის რეფორმა“ OSI ZUG 40016567; გრანტის კოდი EO617, კონკურსში - საბაკალავრო ინტერდისციპლინური ორენოვანი კურსების განვითარებისთვის - გაიმარჯვა ძისმა პროექტმა: კომპიუტერული ლინგვისტიკის ორენოვანი კურსი. პროექტის ფარგლებში შემუშავდა აღნიშნული კურსის სილაბუსი და რიდერი როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. ლ. ლორთქიფანიძის მიერ კომპიუტერული ლინგვისტიკა იკითხებოდა ფილოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი და თეორიული ლინგვისტიკის მიმართულებაზე 2015-2018 წლებში. პრეტენდენტს მიაჩნია, რომ აღნიშნული კურსის ჩართვა საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“ შესაძლებელია არჩევითი კურსის სახით, რაც უდაოდ გაამდიდრებს საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამას.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე არსებული ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ბ“) ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ყველა წევრმა. საკონკურსო კომისიამ ერთხმად (ოთხი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი ლიანა ლორთქიფანიძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება განპირობებულია კომპიუტერულ მეცნირებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო არსებულ მონაცემებს და გაითვალისწინა პრეტენდენტის ლიანა ლორთქიფანიძის სამეცნიერო აქტივობა (საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, მათ შორის იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში; საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა), მისი პედაგოგიური საქმიანობა თსუ-ში (წლების მანძილზე კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსების წაკითხვა, ახალი საბაკალავრო კურსის წასაკითხად შემოთავაზება). კომისიამ ასევე გაითვალისწინა პრეტენდენტის პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

ერთხმად დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენ-ტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ“) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **ლიანა ლორთქიფანიძე.**

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ № 118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

თარიღი 24.07.2024

კომისიის თავმჯდომარე:
პროფ. მაგდა ცინცაძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
ასოც. პროფ. გელა ზესიაშვილი

კომისიის მდივანი
ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი

კომისიის წევრი
ასოც. პროფ. მაია არჩუაძე